


წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის, განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძის და იურისტის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 30 აპრილის სენატის ხდომის დადგენილება, ოქმი N10);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი ცენტრის დებულება
 Regulation for the Research Center

პროცედურაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის ~ (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი ცენტრის დებულება
Regulation for the Research Center

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნომატიული მითითებები.....	5
3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები	5
4. ზოგადი დებულება.....	5
5. ცენტრის ამოცანები და ფუნქციები.....	5
6. ცენტრის მართვა	6
7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.....	6
8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი	6
9. შემოწმება და კონტროლი	6
10. რესურსები	6
11. პასუხისმგებლობათა გადანაწილება	6
12. ანგარიშის დოკუმენტები	7
13. კონფიდენციალურობა	7
14. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი	8
15. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი	9
16. შეთანხმების ფურცელი.....	10



1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის კვლევითი ცენტრის დებულებას, განსაზღვრავს ამ ცენტრის საქმიანობის მიმართულებას, ფუნქციებს და ამოცანებს.
- 2) დებულება ვრცელდება შპს ბუსსს ანრის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებზე და წარმოადგენს მათთვის ნორმატიულ დოკუმენტს.
- 3) დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია), ელექტრონული ვერსია ხელმოსაწვდომია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.
- 4) არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

2.1 არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნები:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
4. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
5. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების, დანერგვისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა;
6. ნდ 2-0201-02- დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის, დოკუმენტალური უზრუნველყოფის პროცესის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე პროცედურაში გამოყენებულია ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები, რომლებიც მოყვანილია ხარისხის სახელმძღვანელოში და აგრეთვე ნორმატიულ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია პროცედურა.


4. ზოგადი დებულება

- 4.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს ბუსსს ანრის კვლევითი ცენტრის დანიშნულებას, მის ფუნქციებსა და ამოცანებს, მართვის ორგანიზაციასა და სტრუქტურას.
- 4.2 შპს ბუსსს ანრის კვლევითი ცენტრი წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომლის დანიშნულებაც შპს ბუსსს ანრის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
- 4.3 კვლევითი ცენტრი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

5. კვლევითი ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

5.1 ცენტრის ამოცანებს განეკუთვნება:

- 1) კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
- 2) კვლევების დაგეგმვა და წარმართვა;



5.2 კვლევითი ცენტრის ფუნქციებს განეკუთვნება:

- 1) შპს ბუსსს ანრის პერსონალისათვის საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდებისა და საგრანტო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათი მუშაობის სპეციფიკისა და საკონკურსო პირობების გაცნობა;
- 2) შპს ბუსსს ანრის პერსონალის კონსულტირება საგრანტო კონკურსებში განაცხადების შევსებისა და წარდგენის პროცედურების შესახებ, შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება;
- 3) პერსონალისათვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის კუთხით;
- 4) ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;
- 5) საჭიროების შემთხვევაში დარგის ექსპერტთა სამეცნიერო კონსულტანტებად მოწვევაში
- 6) მხარდაჭერა;
- 7) საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებისათვის მოცემული დარგის ექსპერტთა მოწვევა;
- 8) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების და სემინარების ფარგლებში, სამეცნიერო სტატიების შეფასებისათვის ექსპერტების მოძიებაში დახმარება;
- 9) სამეცნიერო-კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა;
- 10) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი კვლევების წარმართვის ხელშეწყობა;
- 11) საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი კვლევების დაგეგმვა და წარმართვა;
- 12) შპს ბუსსს ანრის პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების შესახებ
- 13) ინფორმაციის მოპოვება, აღრიცხვა და დამუშავება;
- 14) შპს ბუსსს ანრის პერსონალის სამეცნიერო მივლინებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შედეგების ანალიზი;
- 15) შპს ბუსსს ანრიში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და
- 16) ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის;
- 17) სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით
- 18) საერთაშორისო და ადგილობრივი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა;
- 19) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და კვლევით ქსელებთან კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;
- 20) კომპეტენციის ფარგლებში შპს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციების მომზადება ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით შესაბამისი ფინანსური სახსრების გათვალისწინების შესახებ;
- 21) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზის საფუძველზე, პერიოდული ანგარიშების მომზადება და წარდგენა.


6. კვლევითი ცენტრის მართვა

კვლევით ცენტრს ხელმძღვანელობს და საქმიანობას უძღვება შპს კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

ცენტრის ხელმძღვანელი, დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისას, ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის წინაშე.

ცენტრის ხელმძღვანელი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამეცნიერო ცენტრის საქმიანობას;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი ცენტრის დებულება
Regulation for the Research Center

- ბ) პასუხისმგებელია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა-წარმართვისა და განვითარების ხელშეწყობაზე;
- გ) აბარებს სამეცნიერო ცენტრის მუშაობის ანგარიშს;
- დ) შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური საშუალებების გამოყოფის თაობაზე, რაც საჭიროა სამეცნიერო ცენტრის ამოცანების შესასრულებლად;
- ე) მოთხოვნისამებრ შეიმუშავებს სამეცნიერო ცენტრის სამუშაო გეგმას
- ვ) ვალდებულია შეასრულოს არსებული დებულების მოთხოვნები

7. კვლევითი ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

შპს ბუსსს ანრის სამეცნიერო ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

არსებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საჭიროებისამებრ, დადგენილი წესით.

9. შემოწმება და კონტროლი

არსებული დებულების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური. დებულების შემოწმება ხორციელდება შიდა და გარე აუდიტორების მიერ შემოწმებების დროს.

10. პასუხისმგებლობათა გადანაწილება

10.1 შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი

- 1. ამტკიცებს არსებულ დებულებას და ცვლილებებს მასში
- 2. ნიშნავს და ათავისუფლებს კვლევითი ცენტრის პერსონალს

10.2 შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური


- 1. ორგანიზებას უწევს არსებული დებულების შემუშავებას, მის პერიოდულ შემოწმებას და მასში ცვლილებების შეტანას
- 2. აკონტროლებს დებულების მოთხოვნების შესრულებას
- 3. აწარმოებს ცენტრის პერიოდულ და გეგმოურ შემოწმებას

10.3 სამეცნიერო ცენტრის უფროსი

- 1. პასუხს აგებს ცენტრში მიმდინარე პროცესებზე და მუშაობაზე არსებული დებულების მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. კონფიდენციალურობა

არსებული პროცედურა წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

კვლევითი ცენტრის დებულება
Regulation for the Research Center

12. დებულების პერიოდული შემოწმების აღიკვეთის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები